

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 10 (37)

11 მაისი, შაბათი 1991

აგვისტოს ქაჯად უხეობენ



„ქაჯნი სახელად მით ვევიან,
არიან ერთად კრებულნი,
კაცნი ბრძანებისა მცოდნელნი,
ზედა გახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნენი,
იგი ვერვისგან ვნებულნი,
მათნი შეგველენი ნამოვლენ
დამბრმალნი, დანვიღებულნი.

იმგან რასმე საკვირველსა,
მტარსა თვალსა დაუბრმოვან,
ქართა აღქვრენ საშინელთა,
ნავსა ზღვა-ზღვა დაამსოვან,
ვითა წმელსა გაირბენენ
წყალსა, წმინდად დააბროვან,
სნადდეს — დღესა გნელად იმგან,
სნადდეს — გნელსა ანათოვან“.

პროექტი
ზიგლიძის



...მას ნუ იტყვი კახაბერად

მრავალი, ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება გამოთქმულა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობასა და მსოფლმხედველობაზე; გლეხობის იდეოლოგიაც გამოუყენებიათ და ბურჟუაზიის ინტერესების დამცველად, ლიბერალად და მონარქისტად...

ერთი პერიოდი, ლამის მარქსისტობაც „დააბარალეს“... მისთვის უცხო ბევრ ადგილზე „დაუყენებიათ“ ილია, მაგრამ მისი კი ალბათ ვერ წარმოვიდგინებთ, მისი საქმის ერთ-ერთი მთავარი მტრის, მისი მოკვდინების მრეხელური, ცინიკური შეფასების („სალაც ხე იჭრება, იქ ხაფორიც ცვივა“) ავტორის გვერდით თუ დაეყენებდნენ, მასთან ერთად „ერთ ტყავაში“ თუ მოაქცევდნენ. მიხვდებით, რასაკვირველია, რომ ნოე ჟორდანიას ლაპარაკი. დიან, ის წარიც დადგა, რომ ასეთი რამ წავგებოთ:

„მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში, საქართველომ, ქართველმა ხალხმა შობა ირი ბუმბერაზი ეროვნული მოღვაწე — ილია ჭავჭავაძე (1837-1907) და ნოე ჟორდანიას (1838-1954). და საქართველოს ისტორიასა და მისი მამობარეველი ძაღლის — ქართველი ერის წინადადნი წარმოშობილ და ჩამოყალიბებულ არც ერთ დიდ პიროვნებას არ რგებია ისეთი ბედი (თუ უბედობა) როგორც ამ ორ დიდ პიროვნებას, რადგან — საქართველოს პოლიტიკური კონსტიტუციის ვითომ — კარნახით — ზოგადი ქართველი ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პიროვნებებს იხილავდნენ არა იმ კონტექსტში, რაც მათ აერთებდა, არამედ ისეთ კონტექსტში, რაც მათ თითქოსდა ჰყოფდა. აქ კი არის საწყისი, საიდანაც გამომდინარეობს ამ ორი დიდი პიროვნების მოღვაწეობის მანკიერი განჭვრეტაც“.

ამ ახალი, მართლაც „ორიგინალური“ დებულებას ავტორია უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი კარლო ინასარიძე, დამკვიდრებულია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის „გახეტ“ ეროვნობის“ ამა წლის მესამე ნომერში (გახეტმა, თავის შხრეც გადმოიბეჭდა პარტიის გამოცხადებული ჟურნალის „ჩვენი დროის“ 1990 წლის ნომრიდან).

როგორც ვხედავთ, ილია და ნოე ჟორდანიას (წერის სათაურიც შეტად მრავალსმეტყუელია — „ილია და ნოე“) ერთ სიბრტყეზე,

ერთ დონეზე არიან დაყენებულნი, როგორც ერთნაირად ეროვნული მოღვაწენი.

ილია რომ ბუმბერაზი ეროვნული მოღვაწე იყო, ამას, რასაკვირველია, მართლაც ბრძანებს ბატონი კ. ინასარიძე, მაგრამ ნოე ჟორდანიას და ბუმბერაზული (ილიას დარი) ეროვნული მოღვაწეობა? იმ ქორდანიას, რომელიც 1918 წლამდე მართლაც ბუმბერაზული ანტიეროვნული მოღვაწეობით იყო ცნობილი.

ბედის ირონიაა, რომ ილიას გვერდით დაყენებს არა მისი თანამებრძოლები — დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები, არამედ მოწინააღმდეგე, ანტიეროვნული „ბანაკის ერთ-ერთი მთავარი წინამძღოლი (როგორია, ილიას შემდეგ საქართველოს, ქართველ ხალხს თურმე ნოე ჟორდანიას ბუმბერაზი ეროვნული მოღვაწე არ უშვია).

ჩვენ კი ვიცით, თუ რა „ჰყოფთ“ ილიასა და ნოე ჟორდანიას, მაგრამ, მოდი, ვნახოთ, რა ჰყოფდა მათ ბ-ნი კ. ინასარიძის აზრით:

„... თუ საზოგადოებრივი მოღვაწე მთელის (ქვეყნის, ერის) ინტერესების დაცვათ, ნაწილების (ფენის, კლასის, დაჯგუფების) გამოჯანსაღებას ცდილობს პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებას გარეშე, ხოლო პოლიტიკური მოღვაწე ნაწილის (მშრომელი ცხადის) ინტერესების დაცვათ, „მთელის“ (ქვეყნის, ერის) გამოჯანსაღებას ცდილობს პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებათ, მაშინ საქართველომ, ქართველმა ერმა, საქართველოს ისტორიის ამ უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში, — განსაკუთრებით პირველდახელთა, მეორედახელთა და მესამედახელთა „დაუნდობელი“ ბეობა-დავის პროცესში, — ორი ბუმბერაზი პიროვნება შობა: დიდი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე და დიდი პოლიტიკური მოღვაწე ნოე ჟორდანიას, რომელთა მოღვაწეობის გვირგვინია 1918-1921 წლები, ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ — აღდგენისა და განმტკიცების „პატარა“ „ოქროს ხანა“.

როგორც ვხედავთ, ამ სქემის მიხედვით ილია დიდი საზოგადო მოღვაწეა, ნოე ჟორდანიას — დიდი პოლიტიკური მოღვაწე, თუ პოლიტიკას, პოლიტიკოსობას

მხოლოდ პარტიული მოღვაწეობით, „ძალაუფლების ხელში ჩაგდებას“ ბრძოლით შემოგასაღწავთ, ამ გაგებით, თქმა არ უნდა, ილია არ იყო ნოე ჟორდანიას მსგავსი პოლიტიკური მოღვაწე (თუმცა, ბ-ნი კ. ინასარიძის „აიწყდება“, რომ ილია „წმინდა“ პოლიტიკურ მოღვაწეობასაც უწყობდა, კერძოდ, იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი, იდეა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის სათავეებთან), მაგრამ ნოე იყო ის, რაც ილიამ ქართველი ხალხის გამოღვივება-გაღარჩენისათვის, „ენის, მამულის, სარწმუნოებისათვის“ გააკეთა, დიდი პოლიტიკა არ იყო! ბ-ნი კ. ინასარიძე სხვა შხრეც ეწევა ნოე ჟორდანიას „შეამხანაგებას“ ილიასთან:

„... განსხვავება ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას მოღვაწეობას შორის ეხება მოქმედების „ტაქტიკას“ და არა „სტრატეგიას“, რადგან ორივე საქართველოს, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განხორციელებისაკენ მიისწრაფოდნენ...“.

ძალიან მონადიმებელი უნდა იყოს ადამიანი, რომ ილიასა და ნოე ჟორდანიას მოღვაწეობას შორის მხოლოდ მოქმედების ტაქტიკაში დაინახოს განსხვავება. და ეს „დაინახა“ ხდება იმ პიროვნებებთან მიმართებაში, რომელთაგანაც ერთის სამოქმედო დღეობა, ცხოვრების მიზანი თავიდანვე „ჩვენი თავი ჩვენივე გვეუფლებს“ იყო, ხოლო მეორისა — „უცვლელი ერისა და კუთხის მუშათა მოძრაობის შეერთება, შეკავშირება და რუსის პროლეტარიატის მეთაურობით მტერზე იერიში მისვლა“.

უცნაურია, რაც (ნოე ჟორდანიას) ავტონომიაც არ ემეტებოდა (1917 წლამდე) საქართველოსთვის, და „გვარწმუნებენ“, ვინდით თუ არა, ილიასთან ერთად „ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განხორციელებისკენ“ მიისწრაფოდა!

„ნოე ჟორდანიას გახდა დიდი ისტორიული პიროვნება, — წერს ბ-ნი კ. ინასარიძე, — თუ ვხედავთ, მხოლოდ იმ ისტორიული ფაქტით, რომ ქართველი ერის ისტორიაში მას დაეკისრა დიდი ეროვნული მისია, როცა მან — 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ — 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა“.

ნოე ჟორდანიას, საერთოდ, სო-

ციალ-დემოკრატების როლს 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში, რასაკვირველია, არავინ უარყოფს, მაგრამ, როგორც იტყვიან, „არც ისეა საქმე“.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა განაპირობა არა იმდენად სოცდემოკრატების, საერთოდ, ქართველი ხალხის ბრძოლა, არამედ იმ ობიექტურმა ვითარებამ, რომელიც იმ დროისათვის შეიქმნა რუსეთის იმპერიაში. როგორც 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარი, ისტორიკოსი უშნავი სიღამონიძე შენიშნავს (იხ. „ეროვნული დემოკრატები და დამოუკიდებლობის აქტი“, „საზოგადოებრივი ივერიელი“, 28. III, 1991 წ.): „ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარე პირობებს, რომლებიც 1917 წელს შეიქმნა. თებერვლის რევოლუციის შედეგად რუსეთში შეიქმნა დემოკრატიული სახელმწიფო. ამან დაიდა შეუწყო ხელი ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლას“ (უნდა ითქვას, რომ ამ აღდგენისათვის, პირველ ყოვლისა, იბრძოდნენ ეროვნული დემოკრატები, რომელთა „დაწოლა“ — ობიექტური ვითარებასთან ერთად — გარკვეულწილად „აიძულა“ სოცდემოკრატები, გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა).

მას შემდეგ, რაც 1918 წლის მაისში დიდი სოცდემოკრატების მიერ დიდის ამბით შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაცია, ნოე ჟორდანიასა და მის პარტიას — მმართველ პარტიას — დამოუკიდებლობის გამოცხადების გარდა, ფაქტობრივად, სხვა გზა არც ჰქონდათ. ამას, რასაკვირველია, არ გააკეთებდნენ, რუსეთში ხელსუფლების სათავეში ბოლშევიკები კი არა, მენშევიკები რომ აღმოჩენილიყვნენ. აქ უნდა ვავისებნოთ სოცდემოკრატთა ერთ-ერთი ყველაზე გველენიანი ლიდერის, ირაკლი წერეთლის ცნობილი, ნიშნდობილი ფრაზაც, ნათქვამი სწორედ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს: „დღეს ჩვენ დავლუმეთ რუსეთის სოციალ-დემოკრატია“. არაფერს ვამბობ იმაზე, თუ როგორ მართავდნენ ისინი საქართველოს, როგორ იბრძოდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

ბ-ნი კ. ინასარიძე ცდილობს მკი-

თხვლი დაარწმუნოს, რომ ილია ჭავჭავაძე, მიუხედავად მისი „საქართველო გამოთქმებისა“ დიდად აფასებდა პირადად ნოე ჟორდანიას, და ამის დასამტკიცებლად ილიას მიერ ნ. ჟორდანიასთვის „ივერიის“ რედაქტორობის შეთავაზების ფაქტი მოაქვს.

ამ ფაქტს ერთი „ნიუანსი“ ახლავს, რასაც შეგუებულად უვლის გვერდს ბ-ნი კ. ინასარიძე.

საქმე ისაა, რომ ილიამ ნ. ჟორდანიას „ივერიის“ რედაქტორობა 1897 წელს შესთავაზა (იმ დროს ნ. ჟორდანიას 29 წლის განმავლობაში, როცა ევროპაში 4 წლის ყოფნის შემდეგ ეს უკანასკნელი ორიოდე თვის დაბრუნებული იყო საქართველოში და ჭერტილევ არ ჰქონდა თავი „გამოჩენილი“ ეროვნული ნიპილობითა და „ქართულ ნაციონალიზმთან“ ბრძოლით.

„ნოე ჟორდანიაც, ვახაგებია, დიდად აფასებდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ მოღვაწეობას. — „გვიმწიფს“ ბ-ნი კ. ინასარიძე. ამგვარი მტკიცება, რბილად რომ ვთქვათ, სასურველია რეალურად გასაღების ცდას წარმოადგენს. თუ როგორ „დიდათ აფასებდა“ ნოე ჟორდანიას ილიას, მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ეს მან ილიას წინააღმდეგ მიმართული იმ დაუნდობელი, სამარცხვინო ბრძოლით „დაამტკიცა“, რასაც დიდი მონდომებითა და გაქაჩებით ეწეოდა წინამურის ტრაველიამდე და მის შემდეგაც...“

ზემოთ ცტირებული „ლოგიკური“ მსჯელობისა და დებულებების შემდეგ, ვასაკვირ არაა, რომ ბ-ნი კ. ინასარიძე ასევე „ლოგიკურად“ მოითხოვს: „ამდენად, დროა, საქართველოს მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების ისტორიაში დიდ ილიასთან ერთად აღიარებული იქნას დიდი ნოე“.

ეს მოთხოვნა-მოწოდება ბ-ნი კ. ინასარიძისა და მისი აქტიური თანამოაზრეებისათვის, შეიძლება, მართლაც „დროულია“, მაგრამ, არა მგონია, ბევრმა გაიზიაროს იგი, მორჩილად შეეცდებიან თვალში ნაკარი ისტორიის გადამკეთებელ-გამყალიბებლებს და კემშარიტ კახაბერთან ერთად ის იწამოს კახაბერად, ვინც არ იყო კახაბერი.

ნოე ჟორდანიაც კი, როგორც არ უნდა „ვადიდოთ“, ნამდვილად არ იყო ის დიდი კახაბერი, ასე, დღისით-მზისით, დიდ ილიას რომ ამოუყენოთ გვერდში!

ეს ფაქტია, ფაქტი კი ყოველთვის ჭაუბრია...

ფელიქს კომიკაშვილი.

კგლი ქართველთა მონოგასთან შეურბეგლობის

საბატონო 1941-1945 წლების ომიდან შენარჩუნებულია მემორიალები, ძეგლები ჩვენი სახმედრო ბეგარისას, ჩვენი ქართველთა სიხსლის სხვა-თათვის ღვრისას.

განათლების დემერტმა მათი სუფიქსი მაგრამ ჩვენდა სავალალოდ ჩვენ არ გავაჩინა საქართველოს გათავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა ძეგლები — გამოცხადებისა ორიოდ წლის წინ კოჭორთან კომუნისტური რუსეთის წინააღმდეგ სამშობლოს დამცველთათვის აღმართული ძეგლი — არ გავაჩინა სახეობის დამსჯელ ორგანოების ხაზან დახვრეტისათვის სტეფანო, არ გავაჩინა ტანჯვითა და წამებით სახეობის უკიდევანო ტერიტორიაზე გადამგებულ ციხეებსა და „დაგერბში“ დაღუპულთა, თუ პირიქედით და ეროვნული დაუმორჩილებლობის ნიშან-სხედეები, არ გავაჩინა თავდადებულ მამულშიშვილთა რაიმე მცირედი ძეგლი-ნიშანიც კი, და ამდენად, არ გავაჩინა კომუნისტების მონობასთან პერმანენტული ბრძოლის აღმნიშვნელი არავითარი ნიშან-სხედეით თუ სიმბოლო, რომელიც მრავალ თაობებს გადასცემს და მათ შეგნებაში დაამატებდა ქართველთა თავისუფლებისათვის ხსენებულის გრძნობას და ყოველთვის შეახსენებს მათ ამ უძვირფასესი განძისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლისა და თავგანწირვის აუცილებლობას. ეს ისტორიული გულმავიწყობა ტოტალიტარული, იმპერიული იდეოლოგიის შედეგია. საბჭოეთში ქართველს არ უნდა სცოდნოდა თავისი ისტორია, არ უნ-

და ეცა თავყანი თავისი გმირებისათვის. და შეიძლება სცოდნოდა უპირატესად ის ისტორია და პირობები, რომელთა ბედი იმპერიის სამსახურთან იყო დაკავშირებული, — ახეთი ცოდნა ჭილდოვდებოდა, წახალისდებოდა და მსახურთათვის ძეგლიც მრავალად აღმართულია. აღქმის საშუალება უნდა ყოფილიყო იმპერიული და არამც და არამც ქართული ეროვნული. თითქოსდა ქართველები მხოლოდ რენეგატებს, კოლაბორაციონისტებს და კონფორმისტებს წარმოადგენდნენ, თითქოსდა ახეთი, მხოლოდ შემრიგებლური, შორილი იყო ქართველთა ბუნება. თითქოსდა არ დადგრილა ქართველთა სიხსლი სათავყანებელი, ეგზოტურფა საქართველოსთვის, თითქოსდა არ ყოფილა მონობისაგან დატანჯულ ქართველთა ჩუმი ცრემლი და ვება, თითქოსდა გულში არ ჩამკვდარა მრავალი ჩუმი უწყაარა, თითქოსდა ქართველი შეეგუა საშობლოს დაპყრობას, დამონების სულისას, თითქოსდა მონობა, მის თვისებად გადაიქცა და მხოლოდ კერპებს, თავს მოხვეულ უცხო სიმბოლოებს სცემდა თავყანს. მაგრამ, თურმე უწყაარა ჩაბნობა ქართულ ეროვნულ თვითშეგნებისათვის დამახასიათებელი თვისებები ეროვნულ-საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, პიროვნული ღირსება, ტოლერანტობა, კაცთმოყვარეობა, ადამიანობისათვის თავდადება, თანაგრძნობა. ის რასაცა დადამართვი უღიწოდება — ის რითაც შეტანკლებდა იწონება ერის ღირსება შენამდებელია მოძალადის ბოროტმა სულმა

მრავალ ქართველში ჩაკლა კეთილ-შობილი გრძნობები, და მისწრაფება, მაგრამ ვერ მოხპო მთავარი თავისუფლების სურვილი, ქართული ეთნოსი, — ეს სული ერისა ვერ გაანადგურა. იგი გამძლე და დაუმორჩილებელია. ხოლო მისი გარდაქმნა და დამორჩილება სხვა რაიმე გარეშე ძალის მიერ შეუძლებელია და ვერც ვერავინ და ვერაფერი მოხპობს და ვერ გარდაქმნის თავის ყიადზე. სული, რომელსაც ეროვნული ცნობიერება ფლობს ძალაა ერისა, იგია მისი წინეობის სიკეთე და მორალური სიძლიერე, იგი ასულდამუდებს ერს. ამ უკანასკნელისათვის ბრძოლა, ბრძოლა და დამარჩილება ღირსების შენარჩუნებისათვის, თანაგრძნობისათვის, კაცთმოყვარეობისათვის, ხინდისისათვის, ზნეობისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლაა, რომელიც შეიძლება გარეობისადაცაა შენელებულია, მაგრამ არასოდეს შეწყვეტილია საქართველოში, დღევანდელი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მშობრობის განვითარების ინტენციობა იმის წინაშეა, რომ ის, რაც გულში მონობის მღვდერს ატარებდა მხოლოდ გამოუვლი მდგომარეობის გამო, შეგუებით შენარჩუნების ტაქტიკა ყოფილა. შესაფერის დროს ერი თავდაცვლიან, ფიციკური გადარჩენის ტაქტიკიდან, შეგუებდან, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის გაშლის ტაქტიკაზე გადავიდა.

იყო დრო ქართველი საქართველოში კომუნისტების ბატონობის პერიოდში ფარულად, შილულად თუ ატარებდა გაუმხედილ იმედსა და სურვილს და თავის გულში ხხო-

ვნით ქმნიდა ძეგლს დიდებულ მამულიშვილებისათვის, საქართველოს გათავისუფლებისათვის მებრძოლთათვის, სხვა რამ თვალბილული ძეგლის აგება მაშინ გამოიცხადებოდა იყო, მაგრამ ახლა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მშობრობის აქტიურობის არნახულ პერიოდში ხომ არის შესაძლებელი თავისუფლებისათვის ბრძოლის აღმნიშვნელი ნიშანსხედე იყოს აღმართული ყველგან, იქ, საიდანაც მონობისათვის შეუტევიათ, სადაც გვირდებ ბრძოლა გამართულია და საიდანაც ახეთი ბრძოლა წამოწყებულია. აი, სწორედ ერთი ახეთი უმნიშვნელოვანესი ადგილთაგანაა ბედელი მთა, მთა, სადაც 1924 წლის 28 აგვისტოს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ თავმჯდომარე კ. ანდრონიკაშვილმა ქაიხოსრო — ქაქუცა ჩილოყაშვილს აჯანყების დროსა გადასცა და დამით დაიწყო აგვისტოს გამართული და სახელოვანი აჯანყება, რომელმაც ახალი ფურცელი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში. ოქტობრის არჩევნების დროს წამოყენებული ვიყავი დებუტატობის კანდიდატად თეთრიყვაროს რაიონში და მომინდა შეხვედრა ამ რაიონის სოფელ ახალ-სოფლის ამომჩრეველებთან, რომელიც მანგისიდან, დიდგორიდან ათიოდ კილომეტრის დაშორებით, ლეგენდარული ბედელის მთის ძირის მდებარეობს. XIX საუკუნის 60-იან წლებში ქართული ეროვნული მოძრაობის სულის ჩამდგმელობა და წინამძღობის, სულმნათი ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ჩახახლებულია მთიულეში ქართული მოსახლეობისაგან თითქმის დაცა-

რიელებულ აღგეთისა და ვერეს ხეობაში. ახალსოფელი მთიულურა სოფელია, თან უკანასკნელი ქართული სოფელი სამხრეთ-დასავლეთით. დიდგორი, დავით აღმაშენებელი, — ილია, — ბედენი, ქაიხოსრო. აი, აქ შეყრილან ერთად ქართველთა უძლიერესი სამშობლოები. აქ ჩაბუთებულია ქართველთა თანამდევო სული.

დიდი იყო სოფელთან შეხვედრის მთალოდინი. სოფლის საბჭოს ათიოდ კაცი. საარჩევნო სიტყვის ციცრული შენობის პატარა ოთახი. დახრული შემდგომ შე მთ ვავანდე ჩემი ჩანაფიქრი: კარგი იქნებოდა ბედელის თავზე აღდგმარობა 1924 წლის აჯანყების აღსანიშნავი ძეგლი რადგანაც ეს არის, როგორც შალვა ამირეჯიბი წერს: „გმირული და სახელოვანი აჯანყება, რომელმაც ახალი ფურცელი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში. ეს აჯანყება დამარცხდა, ჩამოყვანილმა და მისმა რაზმმა საქართველო დახტოვს. აღარ არის დღეს თვით ჩილოყაშვილი, მაგრამ დროში, რომელიც მან ეკვრა, ისევ ფრიალებს; ხმალი, რომელმაც ის იქნედა ისევ ელავს, მისი სახელი დასუღამოდ გადაბმულია ქართველი ერის ისტორიასთან დამოუკიდებლობისათვის და ამ ისტორიაში ის შევა როგორც მისი ბრწყინვალე ეროვნული გმირი“.

ქემშარიტად!

აქ, აღმართული ბედელის მთაზე ძეგლი, რომელიც საუკუნეებს გადასცემს ქართველთა მონობასთან შეურბეგლობის ამაყს. ქართველი მამულიშვილთა უკვდავ სახელებს!

ამირან დოლიძე

განაშტ „საქართველოს“ შეც-
რე ნორმის დახმარება ბატონ თე-
იმურაზ შირინაშვილის ვრცელი
წერილი „საბოლოო საქართვე-
ლო უღმრთო-რადიკალურ — უო-
ფილო არაფორმალურად...“ — რო-
გორც ავტორი წერს, მას თურმე
„თ. ფილიას შეხედულებების გაც-
ნობაში აღუძრა პოლიტიკის სურ-
ვილი“. რადგან თ. ფილიას წერი-
ლში „კონდენსირებული საბით-
არის ვალდებულებული მსოფლმე-
ველობა ამ პოლიტიკური ძალებისა,
რომლებიც ხელ ცოცა ბნის წინ
არაფორმალურად ვეძებდით, ხოლო
არაფორმალური კი, როგორც ბო-
ლონელი კონკრეტული, ახევე „მრგვალი
მაგილაში“ განლაგებული ძალებია“.
რაც ახეთ დღე მისიას შაქარებს
ჩვენს ავტორს (თუცა ახეთი პრე-
ტენზია არასოდეს შენია), ბუნე-
რისა, ვალდებულებული ვარ ეროვნუ-
ლი მოძრაობის მსოფლმეველო-
ბაზე წავიკეთო განმარტება. მივა-
წყლოდ მკითხველს. ამასთან ერთად,
თ. შირინაშვილის წერილში რამ-
დენიმე ნამდვილად ხერხიწული
ფილოსოფიური პრობლემა წამო-
ჭრული, რამაც, ახევე ბუნებრივად,
ჩემი პროფესიული დაინტერესებაც
გამოიწვია. ოპონენტი თეორიულ-
ფილოსოფიურ-მსოფლმეველობ-
რივი პროფესიონალიზმის დეფი-
ციტზე ლაპარაკობს, ამიტომ თავს
ნება მივცე ამ მხრივაც რამდენიმე
შეინაშენა გამოვითქვა, რაც, შე-
ხამლოა, უხერხულად იყოს საგა-
ზეთო სტატიისთვის. მაგრამ ვტიქ-
რობ, ისინი თავის შეთხველს
უთოოდ იპოვიან.

მეღმეც უშუალოდ ჩართვას ვაბი-
რებთ, წარმოადგენს ტექნიკურ-
ინდუსტრიულ ცივილიზაციას, რო-
მელმაც კაცობრიობა ჯერ ხული-
ერ, ხოლო ახლა უკვე ფიზიკური
კატასტროფის წინაშე დააყენა.
მრავალი ახლანდელი მოაზროვნის
მტკიცებით, ეს უკვე მომზადი,
უცილობელი და უმკველი ფაქ-
ტია. მათ სპეციალური ტერმინე-
ბიც კი გამოიგონეს: „გლობალურ-
ი ტექნიკური გაუცხოება“. „ექ-
სისტენციალური კრიზისი“... მათი
აზრით: გაწყვეტა ხულიერი კავშირი
კაცა და ღმერთს შორის, ნიუტონს
სიტყვებით: „ღმერთი მოკვდა“.
აღამიანი კვლავ ევედრება ღმერთს
თავისი საჭიროებისათვის, მაგრამ
ღმერთი აღარ აძლევს კაცს თავის
წყალობას. მარადისობის პირიწო-
ნტი ურუდ დაიხშო. კაცობრიობის
სულიერი სინამდვილის ხილრმე-
ქაობა დაიხადგურა. მას არყვევ
ბრმა შეჯახებაში და აფეთქებანი,
რომელთა შედეგად უმრავლესად
საშოფლო ომებისა და რევო-
ლუციების სახაკლოები. ღმერთი-
ტოვებულ ადამიანს ხელთ შერჩა
მხოლოდ მატერია; ახლა კი უკვე
თვით მატერიის ელემენტარული

დედაშიწაზე ელემენტარული სასი-
ცოცხლო პირობების შენარჩუნე-
ბის მიზნით. ეს კი გაიოლებია პა-
დეგების ფუნდამენტალიზმისა,
რომლის მიხედვითაც ამოხაკალი
ხლომობა მხოლოდ და მხოლოდ
ადამიანისათვის მარადისობის პი-
რობისთვის გახსნა შეიძლება იყოს.
როგორც ჩანს, ან დახაკვლეთმა
ვერ შეძლო სათანადოდ გამჭვ-
ლოლიყო „ფუნდამენტური ონტო-
ლოგიის“ ანტიტექნიკური პა-
თოსით, ან თვით ჰაიდგერის სწა-
ვლება იყო არასთანადოდ ფუნდა-
მენტური. ყოველ შემთხვევაში,
ჭერჭერობით „შეჯანთა“ გარდა
დახაკვლეთში არ ჩანს რამე სხვა
ძალა, რომელიც ანტიტექნიციზმის
რამე ახალ ფორმებსა და მეთო-
დებს შემოგვთავაზებს.

განის ბრძოლა ბრიტანეთის იმ-
პერიისთან არ იყო მხოლოდ პო-
ლიტიკური ბრძოლა. უბრატუნად,
ეს იყო მსოფლმეველობრივი მა-
სშტაბის ძალებისშეჯა „უშთავრები
სატანური ძალის“ — ტექნიციზ-
მის საპირისპიროდ. ვანდომ ვენა-
ლურად აღმართა „დახაკვლეთის“
წინააღმდეგ ბრძოლის იარაღი —
„არაძალადობრივი წინააღმდეგო-
უმორჩილებლობა“ მიადწია და იმ-
პერიას უკან დაახკვიანა.
განა ეს არ გვაგონებს ჩვენი
ეროვნული მოძრაობის უკან-
სუნელ ორ წელიწადში? „თეოდ-
ოქრატია“ ხომ ერთ-ერთი წამყვან
ეროვნულ პარტიის პროგრამაში
უწერია? „ეროვნული დაუმორჩი-
ლებლობა“ ხომ ყველა ოპონენციუ-
რი ძალის ხანუკვარი მიზანია? მე-
ტიც, მხაკვებმა უფრო შორისაც
მიღის.

„შეხრიბეხალი“ — ეროვნული
მოძრაობა. (№ 5. 11) „მედიანს“
ამ იღმის განხორციელებას,
ანდა ძაბრძოლიერი ბადა-
მარდმა და ალიბემა პირი-
საბან მიწის.

2.

როდესაც ვაგეთ „საქართვე-
ლოში“ „საუფლის მისტიკის“
ვაკვეფებდი, ცხადია, არაერთმან-
ვხელოვან გამოხაკვრებებს მოვე-
ლოდი. სამწუხაროდ, ერთადერთმა
გამომხაკვრებამ იმედი გამიცრუა.
თ. შირინაშვილის წერილში, რო-
მელიც, ავტორისვე აღიარებით,
ჩემთან პაექრობის სურვილით არის
ნაკარხანვევი, ვერ აღმოვჩინე ვერც
ერთი პუნქტი, რომელიც მიმანიშ-
ნებდა, რომ ავტორს ვაგრებული
ქმედებს ჩემს მიერ დაყენებულ
პრობლემატაზე. შეხამლოა, ეს უნ-
და მიგვეტყვიანა ჩვენი ავტორი-
სათვის, რადგან აღმათ არცოდვია,
რომ მისი სურვილები და შესაძ-
ლებლობები ერთმანეთს არ ემთხ-
ვევა, მაგრამ მის იმედი კი შეო-
თაშორის, ინდოეთშიც პარალე-
ლურად არხეობდა „კონკრები“

უღტრ — რადიკალი და „უღტრ- თაქურ უიფია

1.
ვინ ვართ? საიდან მოვდივართ?
საით მივდივართ?

ამ მარადიულ კითხვებს ღრმა
საფუძველი აქვთ ადამიანის არხე-
ბაში, მის გულსა და გონებაში.
მაგრამ, როგორც წესი, ადამიანები
ცოტას ფიქრობენ მათზე, როგორც
რადიკალურად და უცხო საგნე-
ზე. დღეს კი ეს კითხვები ქარ-
თული ცხოვრების ყველა კუთხე-
კუთხულს მოხდებია და ყოფის
გვიფორიაქებენ. მხოლოა ვაბი,
როდესაც ამ კითხვებს კიდევ ერთ-
ხელ უნდა ვაუტყვას პასუხი, უნდა
დასასხოს მარადიულობის პირი-
წონტი, რომელიც გარკვეული ხნით
სულიერ საზრდოს, მიმართული-
ვას და აზრს მისცემს ერის განვი-
თარებას.

პირველი კითხვა „ვინ ვართ?“
შეიძლება ჩვენი აწმყო შინაარ-
სით დაკონკრეტდეს, თუმცაღა, ცხა-
დია, რომ იგი უფრო ღრმა და
მრავალმნიშველია. თუკი მხო-
ლოდ აწმყოს ასპექტით ვაჩიხო-
ლოთ ამ კითხვას, მაშინ ასე შე-
იძლება უუაზროდ: ვდგავართ
ქართული ეროვნულ-განმათავისუ-
ფლებელი მოძრაობის გზაგასაკრ-
ებელ თუდა ავირჩიოთ: დამკმა-
რდებელ მოდერნიზატულ იმპა-
რიაში დაბრძალუბული მსა-
პით სოფნას, თუ ვიბრძო-
ლოთ სრული დამოუკიდებ-
ლობისათვის? დამკმაფრ-
დებელ კომუნისტური რამი-
მის დამოკრბით, პოლიტიკური
თავისუფლების მოკრბამით,
თუ პოლიტიკური თავისუფ-
ლება პროვინალ თავისუფლა-
ბაში გზაგასაკრებელი თუ მკ-
სიმალურს ავირჩევთ, მაშინ ვაკვე-
კი ახალი პოლიტიკური ორიენტი-
რები? აი კითხვები, რომლებსაც
დღეს ქართული პოლიტიკური
ცხოვრება უტრიალებს. ამ კი-
თხვებს პირდაპირი პასუხი სჭირ-
დებათ და ელემენტარული პათო-
ნება ქართული პოლიტიკურბი-
საკან ამის გაკეთებას მოითხოვს.

XX საუკუნის მიწურულს კა-
ციობრიობის არხებობას მსოფლიო
ისტორიის ხანე აქვს მიღებული.
დღეს იგი ერთიანი პროცესია და
მასში გაბატონებული ტენდენცი-
ები შეტყობება ერთმანადა ეხე-
ბათ აფრიკის ყოფილ ველურ ტო-
მებს და უკვედრის ინდური თუ
ბერძნული ცივილიზაციების ჩა-
მოშაკვით. თუ ეს ასეა, მაშინ უნ-
და ვადალოთ, რომ ამჟამად საქა-
რთველოში მომდინარე პოლიტიკურ-
ი პროცესებიც არ დგანან შორის
მსოფლიო ისტორიის მაგისტრალურ
ის ხანეებში და მათ ვაკვლენის
განიცდიან. ამდენად, დღევანდელი
ქართული პოლიტიკური ცხოვრე-
რების გასაკებად ამ მსოფლიო
გლობალური პროცესების გააზრ-
ება აუცილებელია.

ჩვენს ქარვად ვცნობთ ქართულ
ხანათს, ამიტომ ხშირ-ხშირად
თავს ვახხებთ: ემოციები ქარ-
გია, იგი ჩვენი თვისებაა, მაგრამ
თუ აყვებით მათ, მოადით გონებით-
თაც აყვეთ-დავეწონით.

გონების თვალთ კი აი რას ხე-
დავს: „მსოფლიო ისტორია“, რო-

სტრუქტურების რდვეებიც დიწ-
ყო.

ჭერ კიდევ XIX საუკუნეში
თვით ევროპის უკვეანება ადამი-
ანებმა განგავს ატხებს და იწინა-
წარმეტყველებს კატასტროფა, თუკი
„დახაკვლეთი“ რადიკალურად არ
შეიცვლიდა გეზს და ორიენტირს“.
XX საუკუნეში კი ყველა „ემო-
ქალური მოაზროვნე“ ერთსლო-
ვანია: მსოფლიო ისტორიის ბორ-
ბაღმა უნდა შეწყვიტოს ჩვეული
ბრუნვა და გეზი იცვალა. XXI
საუკუნე ან იქნება ანტიტექნიციზ-
მის საუკუნე, ან ისტორია შეწყ-
დება...
„უკან ბუნებისაკენ“ — მოუწო-
ლებდა უან-უაქ რუსი — აღდგეს
მეფეშობი იდილია, დასაბამიერი
თანხმობა ბუნებასთან; „უკან წარ-
მართობისაკენ“ — ამბობდა ფ-
ნიცშე — უკან ძველ ელინთა თავ-
დაპირველი დიონისური იმპულსე-
ბისაკენ. „უკან ეკლესიისაკენ“ —
ამტკიცებდა ბლერ პასკალ — რაც
სხვა არავითარი შენის ხნისა აღარ
არხეობს, ეს ნაბიჯი მაინც უნდა
გადავდგათ, თუნდაც აზარტული
თამაშის აღმათობით, მოგების გა-
რანტიის გარეშე; „უკან პირველი
ქრისტიანობისაკენ“ — ქადაგებდა
სორენ კირკეგორი — სასოფარ-
კვეთილებდაშიც არ უნდა მოვარ-
ლოთ რწმენა. „რწმენა იმედის
გარეშე“, ამ აბსურდული ძაღის
ხნეით შევხედეთ აპოკალიფსურ
განსაცდელს. „უკან წინარემეცი-
ნეოლო აზროვნების ზავსურვი სა-
მოსხისაკენ“ — მსჯელობდა მარ-
ტინ ჰაიდგერი.

ანტიტექნიციზმი — აი, გლო-
ბალური ორიენტირები და ხნა-
დინდელი დღე პაციტობრიობა.

გასაკება, რომ ტექნიკის პლა-
ნეტარული მექანიზმის „გამოიწო-
ვა“ უკვე შეუძლებელია. მას წინ
უნდა უძღოდეს ადამიანის შინაგა-
ნი გარდაქმნის მტად რთული და
შეხამლოა ხანგრძლივი პროცესი.
მაგრამ დრო აღარ ითმენს: მეცნი-
ერნი, მგოსანნი, დღისითტყველნი
თუ ვარსკვლავთმრიცხველნი, თვით
პოლიტიკოსებიც კი ლაპარაკობენ
„პროგრესის ზღვარზე“, „საზღვო-
რით სიტუაციაზე“, „მსოფლიო
ისტორია“, რომელიცაა „უშუა-
ლოდ“ შევდივართ, თურმე უკვე
„წუთებს“ თვლის...
მთელს მსოფლიოში აღძრულია
ანტიტექნიციზმის რადიკალი-
ზმი, ანუ ფუნდამენტალიზმი.
განსხაკვებულა მისი ფორმები აღ-
მოსხაკვლეთსა და დახაკვლეთში. ამ
მხოლოდ წავიკეთ მათგანზე მი-
ვუთითებთ: დახაკვლეთი ანტიტექ-
ნიციზმი სათავეს იღებს გენიალურ-
ი გერმანელი ფილოსოფოსის მარ-
ტინ ჰაიდგერის „ფუნდამენ-
ტური ონტოლოგიიდან“, აღმოსავ-
ლურის ფუქედლებულია ინდოეთის
დიდი ბრძენთაბრძენი მამათმა გან-
და, ფუნდამენტალიზმის ისლამური
სახეობა ჩამოაყალიბა აბიპოლა
პომენიმი; არხეობს რუსული ფუ-
ნდამენტალიზმიც...
დახაკვლეთი გზა გამოიხატა ე. წ.
„შეჯანთა მოძრაობაში“. მათი
ღონისძიებანი აუცილებელია, მაგ-
რამ აქ პაქოლა მიმდინარეობს

და, „სატაგარაბა“. მას პოლიტო-
ლოგიებმა „პრაგმატული პაციფიზ-
მი“ უწოდეს.

განდომ შექმნა დახაკვლეთისაკენ
განსხაკვებული სახელმწიფობრი-
ვი ცხოვრების ფორმა — თეოდ-
ოქრატია, საერო და ხულიერი
ხელისუფლების ორიგინალური
მიზნით: წინასწარმეტყველი +
პარლამენტი, ეს იყო არათანხმე-
ვრული სინერგეტიზმი. ყოველ შემ-
თხვევაში, განდომი არ აღმოჩნდა
ის პლანეტური ძალა, რომელიც
გააჩერებდა, გეზს შეუცვლიდა
„მსოფლიოს“.

რაც შეეხება ისლამურ ფუნდა-
მენტალიზმს: „თეოკრატული რე-
სპუბლიკა“, აქ ლიდერისმიერი
„თვით-ნებობის“ შენის მიმმა-
ღვრია, რადგან თვით იმამი რე-
ნისებურად დისციპლინირებულია
შარიათის კანონებით. „აიათოლა“
აიათი, ანუ შარიათის მცოდნეს
ნიშნავს...
ყველაფერს რომ თავი დავანე-
ნებოთ, ისლამი ფიზიკური ძალით
„მახვილით“ — უპირისპირდება
ტექნიციზმს. რომელსაც ყოველს
დამანგრეველი ზღვრული ფიზიკურ-
ი ძალები უპყრია ხელთ და ამ-
დენად უჩერსპექტივი და რაც
მთავარია, მავნე და საშიში სატა-
ნური ძალაა.

რუსული ფუნდამენტალიზმის
არხი მოკლედ შემდგეშა: რუსეთი
თანამედროვე ისტორიაში ერთად-
ერთი შემკვიდრეა ბიზანტიურ-მარ-
თლადიღებლური მსოფლწესრი-
გისა. „მოსკოვი მესამე ხულიერი
იქმნა, ხოლო მეოთხე კი აღარ
იქმნა“. ერთადერთს მას შეუძლია
კაცობრიობის მისცეს სწორი გე-
ზი და ორიენტირი. აღადგინოს კა-
ვერი ღმერთისა და კაცს შორის,
აღადგინოს ღმერთკაცობრიობა; ამ
ზეგროვნული კოსმიური მისისი
აქსასრულდებლად რუსულ ხანათს
აქვს ყველა თვისება. ანტირაციო-
ნალიზმი, შეტერტორიული და
ვენაციონალური რელიგიური უნი-
ვერსალიზმი. მსოფლიოს ყველა
ხალხთა კულტურებში რუსული
კულტურა იმითა უნიკალური, რომ
მისი ერთადერთი წყაროა მართლ-
მადიდებლური მსოფლიო ეკლესია.
მსოფლიო სულის უკანასკნელი
ხანეთი ანთია „წმინდა რუსეთის
ეთერული სხეულო“, მხოლოდ
აქა დაცული და შენახული
ღვთაობის საშთი...
დღეს საქართველოში მოქმედებენ
როგორც „ევროპული“, ისე „აღ-
მოსხაკვლური მიმდინარეობა და თა-
ვისებური ეკვივალენტები.
მაგალითად, ქართველ „შეჯანთა“
მოძრაობა ევროპული ანტიტექნი-
ციზმის გამოქაბილია. ახევე
მდინარეა განდომის ელემენტები
ქართულ ეროვნულ მოძრაობაში.
მეტიც, მისი ცენტრალური ნაკვე-
თი განდებტური ფორმითა და მე-
თოდებით, თვით ტერმინოლოგიურ-
ად მისგანადა დავაკვებელი.

1900-1920 წლებში განდომ შეი-
მუშავა „არაძალადობრივი წინააღ-
მდეგობის“ დოქტრინა და ეტაპურ-
ად განამორციტელა იგი. 1924
წლიდან გააჩნდა „არაძალადობრი-
ვი დაუმორჩილებლობის“ კამპა-
ნია; 1928 წელს „სამოქალაქო და-

და „მრგვალი მაგილა“. მათ ერთ-
მანეთისათვის ხელი არ შეუშლიათ.
ამჟამად ქართველი ერის წინა-
შე, ეროვნულ-განმათავისუფლებ-
ელი მოძრაობის წინაშე ურთუ-
ლესი და უმნიშველოვანესი პრო-
ბლემები დგას; პასუხს უნდა გავ-
ცეს შემდეგ კითხვებს: მართალი
მროვნული მოძრაობისათვის
განდომიული საბიბარბაბა ტა-
მტიკაბა თუ სტრატეგია? რამ-
დენად მისაღებია განდომის
პოპირბაბა? რა შეიძლება და-
მნიშვნელოვან დასავალურ ტა-
მნიშვნელოვან ის სლამურ ფუნდა-
მენტალიზმს, ან სლავოფი-
ლურ ანტიცივიზმს?

კომუნისტური იმპერიის დემონ-
ტაჟის მთავარი მოტივი უკვე ნა-
თელია: ორი ხისტემის, ორი ზე-
სახელმწიფოს შეჯრა ერთ, უნი-
ტარულ, პოსტინდუსტრიულ პლა-
ნეტარულ ხისტემად. მას, ტექნი-
ციზმზე სჭრთხევი კი არ მცირდებ-
და; არამედ ძლიერდება.

ახევე ნათელია რუსეთის იმპე-
რიის მოდერნიზების გეგმა: მოხ-
დეს რესპუბლიკების ჭერ „ბულგა-
რისაკენ“, ხოლო შემდეგ მათი
„ფინეთისაკენ“. ამ მიმართულე-
ბით, თვით რესპუბლიკებშიც უდი-
დესი ძალები აღძრულია.

ამ ტენდენციების შედეგად საქა-
რთველოს უახლოეს მომავალში
მოვლით „ჩაკედვა“ ახალ სურერ-
მოფლიში, რომელიც არანაკლებ
საშიშია, ვიდრე კომუნისტური იმ-
პერია.

შეხამლებელია თუ არა ამ ტენ-
დენციას რამე დავუპირისპიროთ?
დღეს, თუკი შემოიშავებთ
ჩვენი ნაციონალური თვით-
მყოფადობის შემანარჩუნე-
ბელ დიდ ეროვნულ პრობლე-
მას, რომელიც საშუაშუალს
დაუდაგან მართულ ფუნდამენ-
ტალიზმს. ამ პრობლემის შემ-
დინის შემსაკვლელად და მისი
პროტეგტატი ჩვენი ისტორიის
უშთაპრეს პერიოდში — და-
პითის ეროვნული შემსაკვლელად
აღმოვჩინებთ.

დიდი ეროვნული პროგრამის ძი-
რთადი სულისკვეთება ამთავივე
ნათელია: ფუნდამენტალიზმი-
ანტიტექნიციზმური, პრაბსტან-
დატარული მართულსახელმწი-
ფობრიობის საშუაშუალს
ფორმირების საშუაშუალს
შემოშაკვება, რომელიც ეროვნ-
ულ ხანათსა და ეროვნულ
ტრადიციებს აღმეშარბა და
ჩვენი ერის გლობალურ მი-
სინას ბინისბრძობაგანებას.

კაცობრიობის ხნის მოსურნე
ძალები ფაქობენ წინა პლანზე წე-
მოსწიონ არატექნიციზორბული
ურთიერთობანი და ქმედებანი, იმ
იმედით, რომ იქნებ ამ მხრივ ახა-
ლი შეხამლებლობანი იქნეს აღმო-
ჩენილი. ცხადია, ამ გზაზე ჩვენ
უნდა გამოვიყენოთ ევროპული თუ
განდომის მიდწევა, მაგრამ მთა-
ვარია, ქართველმა ერმა, რომლის
ხანათში, ტრადიციებსა და
ისტორიაში ჩადგებლობა მშლ-
ობის ანტიტექნიციზმური მშ-
ტინ, ნათანადრო პირობაგაში
შეხამლოა უნიკალური უნა-
რბამ განმარტებლობის.

აი, სწორად ამ იღმის ემჟა-
რება „უღტრბრადიკალური

ჩემი წერილის შინაარსს მეცნიე-
რებთა კანდიდატი კაცი.

ვიცი, კითხველი პირველ რიგ-
ში სახუთს მომთხოვს, რომ ჩემი
ოპონენტის მეცნიერულ კეთილ-
ინდინსერებაში შევეტანე ექვე;
თ. შირინაშვილის აზრით, ჩემი
სტატია სამ ძირითად დებულება-
ზე ყოფილა აგებული: 1. დღეს ქა-
რთველი ერის განმათავისუფლებ-
ელი მოძრაობა უდიდეს აღმავლობას
განიცდის;

2. ეროვნული მოძრაობის აღმავ-
ლობა ახალგაზრდობის დამახსურ-
ებია ყოფილა;

3. „მამათა თაღბას“ მე კრიტი-
კის ქარცეცხლი დავატებე, რაც
იშას ნიშნავს, რომ ვინც უღტრა-
რადიკალთა პოლიციას არ იწია-
რებს, მათ ყველას, მათ შორის
ჩემი ასაკის ხალხსაც, „მამათა თა-
ღბაში“ ვრიცხავ.

შევეცდები დავამტიციო, რომ
არცერთი ეს დებულება მე არ
მეკუთვნის და ჩემს წერილში სულ
სხვა რამეზე იყო მსჯელობა.

1. ვაგეთ „საქართველოში“ (№ 5.
12. III. 81) დაბეჭდული წერი-
ლში „საუფლის მისტიკის“ შეძ-
ლებისდაგვარად შევეცადე ქართუ-
ლი პოლიტიკური გონის ხილრმე-
ული ფენების ანალიზს. უმთავრე-
სი და უმნიშველოვანესი, რაც ამ
წერილში იყო, ჩემი აზრით, ისაა,
რომ შევეცადე გამოვეყო ორი მი-
მართული — ორი ტენდენცია
დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ
ცხოვრებაში — პირველი, ეს
არის დღეს გაბატონებული ტენდ-
ენცია, რომელიც ჩვენ თავს მოგვახ-
ვია იმპერიამ და მის მოდერნიზე-
ბას ემსახურება. შევეცადე შეჩვე-
ნიებინა, რომ ამ გონის საბოლოო
შედეგად რუსეთის სატელიტი ქვე-
ყნის ბედს უმსადებს საქართვე-
ლოს. მივუთითე იმანეც, რომ
თვით ქართული გონიც აქტიურად
მონაწილეობს იმპერიის მოდერნი-
ზების გეგმის შემუშაკვებაში.

რაც შეეხება ქართული პოლიტი-
კური აზროვნების მეორე მიმარ-
თულებას, დღეს იგი მხოლოდ ჩა-
ნასახის ფორმით არხეობს. ძირი-
თად მისანი ამ მიმართულებას
საქართველოს სრული დამოუკიდ-
ებლობის მომავლაა. ამდენად,
ის ეროვნულ-განმათავისუფლებელ
მოძრაობას წარმოადგენს. წერილ-
ში შევეცადე დავტრენციტირებ-
მომხდინა თვით ამ ცნებისა, რა-
დენაც საქართველოში მიმდინარე
მთელი საციონალური მოძრაობა
ეროვნული განთავისუფლების მან-
ტიით იმოსება, საუკუნის დასაწყის-
ში სციონალური ხაკეთებისათვის
ბრძოლის სახელის გატეხვის გამო
(ეს გამოწვეულია სციონალ-დემოკ-
რატების მიერ ილიას მკვლელო-
ბით, ხოლო შემდეგში პოლიტიკე-
ბის 70-წლიანი ტირანით). ნახე-
ნები იყო, რომ როგორი პარა-
დოქსიც არ უნდა იყოს ეს, დღეს
საქართველოში არც ერთი სცი-
ონალური ფენა რეალურად არ არის
დაინტერესებული რუსეთთან კა-
ვერის გაწყვეტით და რომ ერო-
ვნული მოძრაობა დღეს წარმოად-
გენს საქართველოში მიმდინარე
პროცესების მხოლოდ მცირე ნა-
წილს, რომ დღეს ქვეშაირი ერო-
ვნული მოძრაობა არის რომანტი-

გეიქაბა თუ არა მიწისძვრის მოწყობა?



1. **შეიძლება თუ არა, წინასწარ დაგეგმონ და მერმე მოაწყო მიწისძვრა რომელიმე განსაზღვრულ რეგიონში, თანაც სასურველი სიძლიერით?**
შესაძლებელია თუ არა, ხელოვნურად ისე მოაწყო მიწისძვრა, რომ ბუნებრივს ჰგავდეს?

2. ქრისტემდე მეოთხე საუკუნეში დიდმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ გამოთქვა აზრი, რომ დედამიწის შიგნით არის დიდი გამოქვაბულები. შიგ მომწყვედილია ქარი, რომელიც ცდილობს განთავისუფლდეს და წინაუქმოდ, ზემოთ და ქვემოთ აწყვდება სიღრუს კედლებში. ამიტომ იძვრის მიწა.
მეოთხედავად იმისა, რომ დღევანდელ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებში ასე თუ ისე ჩანს მკითხველს ოცდაათი საუკუნის წინ გამოთქმული ეს შეხედულება გულუბრყვილოდ მოეჩვენება, სამართლიანობა მოითხოვს თქვას, რომ თეორიულად საკითხი ზუსტადაა მოფიქრებული, რაშიც თავად დარწმუნდება ამ წილის მკითხველი.

წერილის სათაურში დასმული შეკითხვის საპასუხოდ აუცილებლად უნდა გავჩვენოთ, როგორი შემადგენლობისაა დედამიწა თანამედროვე წარმოადგენების მიხედვით.
გავრცელებული შეხედულებაა, რომ დედამიწა მრგვალია, მცდარი განსაკუთრებით. დედამიწის, რომელიც დედამიწის წყაროებზეა და მას გვირგვინს უწოდებენ. გვირგვინს არ განსაკუთრებულად წესიერად გეომეტრიული ფორმა. მისი ფორმა მიწის ზედაპირზე და შიგნით მასალა განაწილების გამოხატულებაა და სპეციფიკურია დედამიწისათვის. ვინაიდან მასალა განაწილება დროის განმავლობაში იცვლება, ამ გეოიდის ფორმა ცვალებადია.

ჩვენი დედამიწა, ანუ როგორც უკვე ვთქვით, გეოიდი ფიზიკურადაც და ქიმიურადაც არაერთგვაროვანი აგებულებისაა. იგი შედგება ერთმანეთში ჩამჯდარი (კონკრეტული) რამდენიმე ფენისაგან, გეოსფეროები რომ ქვეითა, ათეული კილომეტრებით სისქისა; მერმე, მოდის ატმოსფერო.
ქვემოთ მოთავსებულია კონტინენტებისა და ოკეანეებისგან დანაწევრებული გარსი, პლანეტისფერო — ოკეანეები და ზღვები.
ამის მერმე მოდის „მყარი“ დედამიწის სულ ზედა გარსი — დედამიწის ქერქი. მისი სისქე ოკეანეებში ქვემოთ ქვემოთ კილომეტრამდეა, ხოლო კონტინენტებში ქვემოთ მერყეობს ოცდაათიდან სამოცდაათი კილომეტრამდე. მხოლოდ ამ ფენას იკვლევს ადამიანი უშუალოდ დაკვირვებით.

დანარჩენი სფეროებზე დადამიწის არ ჩაუღწევია, მაგრამ მათი აონავაზა მანაც გარკვეული გავსება გეოფიზიკური კვლევის სიღრმის მეთოდებით, ამტკიცებენ მეცნიერები.
მიწის ქერქის ქვეშ არის მოპო-

როვიჩის ზედაპირი, რომლის ქვემოთ ქანთა სიმკვრივე ნახტომისებურად მატულობს. ეს ზედაპირი მკვეთრად გამოყოფს მიწის ქერქს მომდევნო სფეროსაგან — მანტიისაგან.

მანტიის ზედა ფენა, ანუ ზედა მანტია რეას კილომეტრზე მეტი სისქისაა და აგებულია რეინისა და მაგნიუმის შიშვე შენარებით. ზედა მანტიის მალთა ნაწილი, უშუალოდ რომ ეხება მიწის ქერქს, არის სუბტარატი, იგივე კრისტალოიდი ფუნდამენტი და იგი მიწის ქერქთან ერთად ლითონფეროს ქმნის (ლითონს — ბერძნულად ქვა, ესე იგი, ქვემის სფერო); სწორედ აქ, ლითონფეროში, ანუ ქვემის სფეროში ხდება მიწისძვრები.

ქვედა მანტია დაახლოებით ორი ათასი კილომეტრის სისქისაა და გარს აკრავს დედამიწის ბირთვის, რომლის რადიუსი სამი ათასი ხუთასი კილომეტრია და იყოფა გარეგან და შიგა ბირთვებად. მათ შორის უნდა იყოს გარდაამავალი ზონა. თეორიულად გარაუდებია, რომ გარეგანი ბირთვი თხიერია, შიგანი კი მყარი.

ოგეოლოგი მიწისძვრის გეოგრაფიული გავრცელება ვლკანებისაა ემთხვევა აშკარად. ვულკანის ამოქმედებას წინ უძღვის და თანახმად მიწისძვრა. მიწის წიაღში მომწყვედილი ორთქლისა და გაზის უქცარი გაფართოება (გაბნევა, მკითხველი, არისტოტელის აზრი), იგივე აფეთქება ანდა მაგნიტის მოძრაობა იწვევს მიწის რყევას.
გარდა ვულკანური მიწისძვრებისა არსებობს ტექტონიკური მიწისძვრებიც.

ტექტონიკა და საერთოდ გეოტექტონიკა შეისწავლის მიწის ქერქში სიღრმისეული ძალებით გამოწვეულ მოძრაობებს.
მიწისძვრის მიზეზად სეისმოლოგები მუდმივად წნევის ქვეშ მყოფი ლითონფეროს ცალკეულ ნაწილთა შორის არსებული წინასწარობის უეცარ დარღვევას თვლიან. დიდი წნევის ქვეშ მყოფი ქანები მოიძრებიან, გაიღუნება. მაგრამ ყოველი გაღუნული სხეული მისწრაფებს გასწორებას.
ხოლო თუ გაღუნვა კიდევ გარბეულა, ამ ქანში დაგროვდება დიდი ენერჯია და თუ გაღუნვა რაღაც გარკვეულ ზღვარს გადააჭარბებს, მაშინ ქანები გაწყდება და განთავისუფლებული ენერჯია მიწისძვრას გამოიწვევს.

5. სადრაც, ერთ ადგილას მიწისძვრა უძლიერესია. აქედან ყველა მიმართულებით ძალა კლებულობს. ამ უბანს მიწის ზედაპირზე ეპიცენტრი ჰქვია.

თვით ეპიცენტრში მოძრაობა სიღრმისადაა მოდის და გარკვეული დაგვიანებით, რაკი ტალღამ უნდა გაიაროს ქანებში.

გარკვეულ სიღრმეზე არის უბანი, საიდანაც იწყება მიწისძვრა და მას ეპიცენტრი, ანუ ქვედა ცენტრი ჰქვია. ესაა მიწისძვრის ნამდვილი ცერა, მისი ფოკუსი.

არსებული ცნობების მიხედვით ეპიცენტრთა უმეტესობა სამოც კილომეტრზე ნაკლებ სიღრმეზე მდებარეობს. ესაა მარჩნი მიწისძვრები.
შემდგომი ჯგუფი იქნება სამო-

ციდან სამას კილომეტრ სიღრმეში და საშუალო მიწისძვრებს მიეკუთვნება.

ორმა ფოკუსიანი მიწისძვრების ჯგუფი საპასიდან შეიღასი კილომეტრის სიღრმეში მდებარეობს.

6. მიწისძვრის მრავალი შემსწრე ტალღის დარტყმის მიმართულება საც გიჩვენებს. ზოგჯერ კი იცვლება დარტყმის მიმართულება.

სწორედ ამიტომ იყო, რომ 132 წელს ჩინეთში შეიქმნა ბირველი აპარატი, რომლითაც შეიძლება დარტყმის მიმართულების გაგება. ამ მოწყობილობას ჰქონდა რვა სხვადასხვა მხარეს მიმართული ღრუკონის თავი. თითოეული თავს ბირვი ედო ბურთული. მიწისძვრის ტალღის დარტყმისას ბურთული ძირს ჩამოვარდებოდა და ხახაში უვარდებოდა ღრუკონის ფეხებთან მდომ რვა ბაყაყიდან ერთ-ერთს. იმ ბაყაყის მდებარეობით, რომელმაც „დაბირვა“ ბურთული, იმდენად მიწისძვრა დარტყმის მიმართულებას.

ვერტიკალური მიმართულების დარტყმა ნაკლებად საზიანოა. ჰორიზონტალური მიმართულების რყევებს დიდი ზიანი მოაქვთ. შენობათა ნგრევის ხარისხი დიდდა და მცირედდებული დარტყმის ამოსავალ კუთხეზე — უდიდესი ნგრევა მისდევს დარტყმას, რომლის მიმართულება დედამიწის ზედაპირიდან ირბობა.

მიწისძვრათა სარეგისტრაციოდ შემდგომში ელექტრომაგნიტური მოწყობილობა — სეისმოგრაფი გამოიგონეს. რუსები ამტკიცებენ, სეისმოლოგმა ბ. ბ. გოლიცინმა გამოიგონა, რაც ცოტა არ იყოს, დამაჯებელია — ხომ შეიძლება ეს სეისმოგრაფიკ ნათურასავით, ორთქლმავალივით და რადიოსავით იყოს „გამოგონილი“.

7. ქვემოთ შემოთავაზებთ იტალიელი სეისმოლოგის მერკლის მიწისძვრის ძალის განსაზღვრავ აბაზიანს სკალას:

1 ბალი — მიკროხეიხური რყევები, რომელსაც მხოლოდ ზემარქმობიარე სეისმოგრაფი აფიქსირებს.

2 ბალი — განსაკუთრებით ხუსტი ძვრები, რომლებსაც სეისმოგრაფს გარდა მშვიდ მდგომარეობაში მყოფთ ზოგიერთი ადამიანიც გრძნობს.

3 ბალი — ფრიალ ხუსტი ძვრები, რომლებსაც აჩნებს მშვიდ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა უმეტესობა.

4 ბალი — ხუსტი ძვრები, რომლებსაც ადამიანები მოძრაობისა და ფიზიკური შრომის დროს გრძნობენ, ფაჯრის მინები ზრიალებენ. დაკიდული ხანგები ქანობას იწყებენ.

5 ბალი — საშუალო ძვრები. ყველა ერთდროულად იგებს. ირყევა ავეჭი. წყარუნობს ჭურჭელი. დარბაზები იღებს.

6 ბალი — ხაგრძობი დარტყმები, იღვიძებს მძინარე ადამიანი. ჩერდება ქანქარაიანი საათი. ხეზე ფოთლები შრიალებენ. თაროებიდან ხანგები ცვივა. ქერზე და კედლებზე ხარბები ჩნდება.

7 ბალი — ძლიერი დარტყმები. ყირავდება ხანგები. რეკვას აწყვინებს დიდ ზარებს. ძლიერ შიშს იწყებს. ადამიანს უჩნდება გულის-

რევის შეგრძნება. ინგრევა შენობათა ნაწილები.

8 ბალი — ფრიალ ძლიერი დარტყმები. კარგად ნაგები ქვის შენობებზე ზიანდება.

9 ბალი — განსაკუთრებით ძლიერი დარტყმები. ნაწილობრივ ან მთლიანად ინგრევა შენობები.

10 ბალი — არაჩვეულებრივი ძალის დარტყმები. შენობათა საყოველთაო ნგრევა. შთაში — მეწყერები, ზვავები. მიწის ქერქში ნახალები.

ამ აბაზიანს სკალას კიდევ ამატებენ ორ ბალს:

11 ბალი — კატასტროფა. დიდი ნაპარლები და ზვავ-მეწყერები. შენობები ნადგურდება.

12 ბალი — საყოველთაო ხანოწარკვება, ანუ დიდი კატასტროფა. ვერც ერთი ნაგებობა ვერ უძლებს.

დღერტმა ქნას, ამ თორმეტბალიანი მერკლის სკალის ცოდნა პრაქტიკულად არასოდეს აღარ დაგვიჭირებოდეს.

მიწისძვრის ძალის უფრო ზუსტად და ობიექტურად გასაზომად იყენებენ რისხტრის სკალას, რომელიც ზომავს ნიადაგის რყევის ამპლიტუდას.

8. თუ კარგად გვაქვს შესწავლილი რომელიმე, ჩვენთვის სასურველ რეგიონში ლითონფეროს, ანუ მიწის ქერქისა და კრისტალოიდი ფუნდამენტის აგებულება; თუ კარგად, სასურველ მეცნიერულ დონეზე ვიცით ამ რეგიონის შეზღვენილი ქანების ფიზიკური და ქიმიური თვისებები; თუკი გეოტექტონიკურად გარკვეული გვაქვს ქანებში გამავალი ნაპარლების, რღვევების, ნახსლეტების და სხვა ტექტონიკური ერთეულების ურთიერთმიმართება; აქედან გამომდინარე შევადგენთ უზუსტეს გეოლოგიურ რუკას, რომელიც ნათლად წარმოგვიჩინებს ლითონფეროს ამ ნაწილის მთლიან აგებულებას. ხოლო ამის მერმე თუ სათანადო, წინასწარ გათვალისწინებულ შემთხვევაში, რომელიც ჩვენთვის საინტერესო რეგიონიდან საკმაოდ შორსაც კი შეიძლება იყოს გეოგრაფიულად, მოვხდენთ სიღრმისეულ ატომურ აფეთქებებს, რომელთა სიმძლავრეც აგრეთვე გათვალისწინება სათანადო ბალიანი მიწისძვრისათვის — მივიღებთ ხელოვნურად შექმნილ მიწისძვრას.

გათვლილ წერტილებში ატომურ აფეთქებათა სიმძლავრის ნელი-ნელ შემცირებით და შესაბამისად საინტერესო რეგიონში მიწის ნაკლებად რყევით შევამდებელია მივიღებთ ბუნებრივი მიწისძვრის სრული ეფექტი!

თუ ვივლით ჯოჯობეთურ გონებაში უკვე გაიარა მსგავსი ფიქრება, შექმნილია გეოლოგიური იარაღი და მას ჩვენზე, როგორც საექსპერიმენტო მოცეობებზე სცდიან. ეს გაუგონარი, დაუკვლი-ფიცირებული დანაშაულია მთელი კაცობრიობის მიმართ, თანაც ისეთი დანაშაული, რომ ჩიიდან და შეგრძნება კიდევ — რაც საექსპერიმენტო მოცეობებზე ბუნების სტიმულითა მძვინვარება ჰგონიათ, ის ხელოვნურად გვაქვს მოწყობილი.

9. საჩხერელი პრეფექტი ბესიკ ქუთათელაძე ესაუბრება „ახალგაზრდა ივერიელს“ კორესპონდენტს

29 აპრილს გამოსულია „საქრებულო“

— „ბატონო ბესიკ, სპიტაკის კატასტროფის მერმე დღესვე იქ ვიყავი. იქაურები ამბობდნენ, რომ მისა ხან ჰორიზონტალურად ირყეოდა, ხან — ვერტიკალურად. აქ როგორ იყო?“

— იცით, ჯერ ვერ აღგვიქვია, რა მოხდა. ისეთი შეგრძნება იყო, რომ რაღაც აფეთქდა. აქ უკვე სპეციალისტებმა უნდა თქვან სიტყვა.

— წინა ლამეს, ამ მიწისძვრის მაცხოვრებლებს ხომ არ შეუძინევიათ პირუტყვისთვის უცნაური ქვევები? — არ გამიგია...“

10. სპიტაკის მიწისძვრის წინ, როგორც თბილისის ზომაზარკის დირექტორმა, თეიმურაზ ბარათაშვილმა გვაუწყა თავის წერილში, ზომაზარკში ცხოველები ერთმანეთს უცნაურად იქცეოდნენ (ესაა მიწისძვრის პროგნოზირების ბიოსფერო მეთოდი — ცხოველთა ქცევების დეკვირება).

ამჟამად კი, ბატონ თეიმურაზ ბარათაშვილს გამოითხვა ჩაუტარებია თანამშრომლებსათვის, მაგრამ არაის ცხოველთა მოუწყვნილობა და წრიალი არ შეუძინებია.

ვაქტია, რომ ცხოველებმა ვერ იგებინეს საჭარბოლო მოსალოდნელი მიწისძვრა...

P. S. წერილი დამთავრებულ მქონდა, როცა ვახუთ „მეგობრობის“ (№ 17, 25 აპრილი, 1991 წელი) დაიბეჭდა ვინმე ვლადიმერ შერბანის ინტერვიუ გენერალური შტაბის აკადემიის კონსულტანტთან, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორთან, თავდასხმის სტრატეგიული იარაღის დამუშავების ერთ-ერთ ავტორთან, თედორის გენერალ-მაიორ ივანე ანურევიანთან.

აი, რას ამბობს იგი: „ტექტონიკური, ანუ გეოფიზიკური იარაღის არსი ასეთია: ბირთვული აფეთქებების გზით შეიძლება მიწისძვრის გამოწვევა ეპიცენტრიდან (უნდა თქვას: პიოტე-ნტრიდან, — მ. მ.) ასობით და ზოგჯერ ათასობით კილომეტრზე — მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. მიწის ქერქში დაგროვილი ძაბვა იწვევს სეისმურ ტალღებს და ეს ტალღები ზუსტად იმ რეგიონს „ესხმის“ თავს. საითქვინც დამინებულა“.

ეს კი არა, უფრო შორსაც წასულან სატანითმეპყრობილი მეცნიერის და მათი პოლიტიკური ბიოსები — „უხლოეს მომავალში“ შესაძლებელია კიდევ შეიქმნას ოზონის იარაღიც (იგი ასევე გეოფიზიკურ სფეროს განეკუთვნება) რაც „მოწინააღმდეგის“ თავის ოზონის ფენის დაშლას გულისხმობს — აღნიშნავს თედორის გენერალ-მაიორი.

... და ალბათ სადმე, გასაიდუმლოებულ სამეცნიერო დაწესებულებაში სხიდან და ფიქრობენ თუ როგორ შეიძლება მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ხელოვნურად ვულკანის მოწყობა და სულაც არ აღარდებთ, რომ დედამიწის შიგნით არსებობს გარკვეული გეოლოგიური წინასწარობა, ბალანსი და მისი დარღვევა კარგს არაფერს უქადის ჩვენს პლანეტას.

მისი მოწინააღმდეგე

საპარტოვლოს რესპუბლიკის უენანის საბროს „მრგვალი მადიდის“ კოლიტიკური გლოკის დეპუტატებს

საპარტოვლოს რესპუბლიკის ეროვნული გმარდიის სასწავლო-საბროლო ნაწილი — მარის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის“ საწინამდგომის

მიმართვა

პატივცემული დეპუტატებო, კატეგორიულად მოვითხოვთ გავიმარტოთ:

- 1) რაში გამოიხატება „იმედის“ „მხედრობითან“ ტუპისცალობა (განუთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 4 მაისი, 1991 წ.).
- 2) რა კრიმინალური ბრალდებები შეგიძლიათ წამოუყენოთ ასოციაციას.
- 3) რა გავებით იხმარება სიტყვა „იმედი“ თქვენს წერილში.

ლი, რომლითაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მოსახლეობას ვიცავთ. ამის შესახებ თვით ფაქტები მეტყველებენ. პითხეთ: სვერელი, თამარაშვილი, ანაბეთელი, ქუთათელი, ქემერტელი, კენგელი მოსახლეებს, ვინ იცავდა მათ სოფლებს მაშინ, როცა ცხინვალის დეპუტატთა იქნა გაყვანილი მილიციის ქვედანაყოფები, ან მაშინ, როცა ცხინვალის რაიონში დამატებითი ჯარები შევიდა და მილიცია ჯერ განაიარაღა, მერმე ზოგი დააკავა, დანარჩენი კი გამოიყვანა. პითხეთ სვერელ მოსახლეებს, ვინ იფერებდა და ვინ იღებდა თავის თავზე ოსი ბანდების საჩაქეტო შემოტევებს.

პითხეთ მილიციის კორსანტებს, ვინ იღებდა თავის თავზე მათთან ერთად ყველაზე ძნელ საქმეს ცხინვალში. თუმცა ეს ყველაფერი თქვენ ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ, მაგრამ „რატომაც“ მაინც აუგად მოგვიხსენიებთ. აქ ფრჩხი-

ლებს ალბათ ისევ ვაქვს ლექსი განხილს „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრია“.

იცოცხლეს ყველამ (ამ სიტყვებით ჩვენ საქართველოს მოსახლეობას მივმართავთ) რაც არ უნდა გემეტრონ, როგორ აუგადაც არ უნდა მოგვიხსენიონ და რა პროვოკაციაც არ უნდა მოგვიწყონ, ჩვენ არც ერთ ქართველს, როგორი უკანასკნელიც არ უნდა იყოს იგი, მტრად არ მოვეკიდებით (ამისათვის სათანადო ორგანოები არსებობენ). ჩვენი იარაღი მხოლოდ საქართველოს დანაცვიდა, გარეშე მტრის წინააღმდეგ არის შემართული. რაც არ უნდა ეცდნენ, ჩვენ არცერთი

ქართველისაგან გამოწვევას არ მივიღებთ, ჩვენ ვერცერთი ქართველი ვერ დაგვიპირისპირდებიან, იმტომ, რომ, ჩვენ არავის ვუპირისპირდებით. სწორედ ამავთა ჩვენ სიძლიერე და სწორედ ასეთი რწმენა მოგვიყვანს გამარჯვებამდე.

დავით ხომასკიძე, ვინა მინაშაძე, ნოდარ მინაშაძე, დავით ხანგინი, გივი შურტაშვილი, პაატა ნახარაიანი, ნიკა ხანგინი, შაბაი ლიკლიპაძე.